

<https://doi.org/10.52340/gbasb>

ISSN 2233-3606 (print)  
ISSN:2960-981X (online)

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია  
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

**მოამბე**  
**58**  
**MOAMBE**

**INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED  
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE**

თბილისი 2026 TBILISI

**„მოამბე“ გამომდის 1995 წლიდან  
„MOAMBE“ IS PUBLISHED SINCE 1995**

**სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით**

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალური სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა).
3. სტატიას უნდა ახლდეს სტატიის სათაური და რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. რეზიუმე უნდა იყოს მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ნებისმიერ უცხო ენაზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვანოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:  
**temur.babunashvili@mail.ru; temur.babunashvili@tsu.edu.ge.**

**mariizoria81@gmail.com;**  
**ტელეფონები: 593 23 99 58; 593 95 92 47**  
**ვებ-გვერდი: www.sbma.ge**

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail).
3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in any foreign language. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languages too.

**E-mail: temur.babunashvili@mail.ru; temur.babunashvili@tsu.edu.ge.**

**mariizoria81@gmail.com;**  
**Tel: 593 239 958; 593 959 247**  
**www.sbma.ge**

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციის ბაზარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982**

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTIFICATE #1982)

მთავარი რედაქტორის მიმართვა ჟურნალ მოამბის ახალ სტატუსთან დაკავშირებით

პატივცემულო სარედაქციო კოლეგის წევრებო, სამეცნიერო სტატიების ავტორებო და ჩვენი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ მკითხველთა ფართო წრის წარმომადგენლებო, მაქვს პატივი მოგილოცოთ ჩვენი ჟურნალის საერთაშორისო სტატუსის ახალ საფეხურზე აღზევება, სულ ცოტა ხნის წინ ჟურნალ მოამბეს მიენიჭა „დოის ინდექსი“, ასევე ყველა გამოქვეყნებულ სტატიას ინდივიდუალურად მიენიჭება დოის ინდექსი და ეს ინფორმაცია განთავსდება ქვემოთ ჩამოთვლილ ინდექსაციის რეგისტრირებულ ბაზებში:

- SCILIT INDEXING DATABASE
- ACADEMIC RESOURCE INDEX/RESEARCHLIB
- WORLDCAT.ORG
- INTERNATIONAL SCIENTIFIC INDEXING
- COSMOS IMPACT FACTOR
- SCIENTIFIC JOURNAL IMPACT FACTOR
- INDEX COPERNICUS INTERNATIONAL
- GOOGLE SCHOLAR
- EUROPUB

მინდა გაცნობოთ, რომ ჟურნალ მოამბეს ასევე მიენიჭა ელექტრონული ISSN ვერსია. ჟურნალის დოის ინდექსია: <https://doi.org/10.52340/gbasb>

ხოლო ISSN-ებია:

ISSN:2233-3606 (print) და ISSN:2960-981X (online)

ასევე ინფორმაციის გაცნობა შეგიძლიათ ჩვენს „Facebook გვერდზე „საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია“ -

<https://www.facebook.com/profile.php?id=100066389803059> .

ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ პირს ან ორგანიზაციას შეგიძლიათ დამიკავშირდეთ მობილურ ტელეფონზე : 593239958 ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: [temur.babunashvili@mail.ru](mailto:temur.babunashvili@mail.ru)

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის სახელით გამოვთქვამ მზაობას ურთიერთ თანამშრომლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით ახალ პირობებზე.

პატივისცემით,  
ჟურნალ მოამბის მთავარი რედაქტორი  
და სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე,  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, ქ.თბილისის საპატო მოქალაქე  
თეიმურაზ ბაბუნაშვილი

**ADDRESS OF THE EDITOR-IN-CHIEF  
REGARDING THE NEW STATUS OF “MOAMBE” JOURNAL**

Dear editorial board members, authors, and representatives of a wide circle of readers of our international scientific journal “Moambe”! I have the honor to congratulate you on the rise of our magazine to a new level of international status. The journal was recently awarded a Digital Object Index (DOI). Also, all articles published in it will be individually assigned a DOI and this information will be placed in the following indexing bases:

- SCILIT INDEXING DATABASE
- ACADEMIC RESOURCE INDEX/RESEARCHLIB
- WORLDCAT.ORG
- INTERNATIONAL SCIENTIFIC INDEXING
- COSMOS IMPACT FACTOR
- SCIENTIFIC JOURNAL IMPACT FACTOR
- INDEX COPERNICUS INTERNATIONAL
- GOOGLE SCHOLAR
- EUROPUB

Journal DOI: <https://doi.org/10.52340/gbasb>

Print version ISSN:2233-3606

Electronic version ISSN:2960-981X

Information can be found on the “Georgian Academy of Business Sciences” Facebook page - <https://www.facebook.com/profile.php?id=100066389803059>

All interested individuals or organizations can contact me by mobile phone at 593-23-99-58, or via e-mail: [temur.babunashvili@mail.ru](mailto:temur.babunashvili@mail.ru)

On behalf of the editorial board of our magazine, I express my readiness to continue cooperation under new conditions.

Sincerely,  
Editor-in-Chief of “Moambe” magazine,  
Chairman of the editorial board,  
Doctor of Economic Sciences, Professor  
**Teimuraz Babunashvili**

# „მოამბე“

საერთაშორისო რეპერირებადი და რეცენზირებადი  
სამეცნიერო ჟურნალი, №58, 2026 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი- მთავარი რედაქტორი და სარე-  
დაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს ბიზნესის  
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,  
ქ. თბილისის საპატრიო მოქალაქე.

## სარედაქციო კოლეგია მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბაშიშვილი გიორგი, აბდუშელიშვილი გივი, აბრალავა ანზორი (საქ. მეც-  
ნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი), ასათიანი რევაზი  
(საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვა-  
ლია ნარბიზი, გომოხია რევაზი, გველესიანი მერაბი, გეგუაძე ბადრი,  
ელთაძე ლია, თაკალანძე ლარისა, თურნაშვილი ნათია (საქართველოს ეროვნული  
ბანკის პრეზიდენტი), იზორია მარინა, კოჭლამაზაშვილი ლელა, კურტანიძე  
დავითი (აშშ), კვალთაშვილი ვაჟა, ლაბარტყავა გულთაზი, ლოჭანიძე  
გივი, ლეკაშვილი ეკა, მელაძე სერგო, მძევაბიშვილი ელგუჯა, ნარმა-  
ნია დავითი, პაიჭაძე ნუგზარი, როკათლიშვილი მიხეილ (აშშ), სილაგაძე  
ავთანდილი (საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), სოლომონ-  
შვილი დალი, უბრახელიძე მინდია, ძარჩავა ლიონი, ქეშელაშვილი ომარი,  
ქუთათელაძე რუსუდანი, ყიფიანი გელა, ყურაშვილი გუგული, შენგა-  
ლია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩაბელიშვილი ლალი, ჩაჩელაშვილი  
მანია, ჩიხლაძე ნიკო, ჭითანაშვილი ნოდარი (საქართველოს სოფლის მეურნეო-  
ბის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ჭუმბურიძე მამია, ხელაშვილი  
იოსები, მამელოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატი-  
ანა (უკრაინა), სერძანიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის  
რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესპერბერი  
(ყაზახეთის რესპუბლიკა), ბალინა ლოპუშინა (უკრაინა), ზალენინი ინგა  
(ესტონეთი), ვლოჟენკო ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარჩოლა (სლოვაკეთი),  
ბალინა კუზმენკო (უკრაინა), ტადეუშ ტროციკოვსკი (პოლონეთი). ანატო-  
ლი შევერუკი (რუსეთი), იაცეკ სტროჟნი (პოლონეთი), ალიონა ალიენიკოვა  
(უკრაინა), ევგენი შუკოვი (რუსეთი), მანტაშტას რასკაუსკას (ლიეტუვა), ვიქ-  
ტორია ბრიგალივანაიტი (ლიეტუვა).

შეიქმნა რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

№58, 2026 წელი

**„MOAMBE“**  
**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE,**  
**PRECISED AND REVIEWED №58, 2026**

**TEIMURAZ BABUNASVILI**- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,  
Doktor of Economic Science, President of  
Georgian Academy of Business Science,  
Honored citizen of Tbilisi

**EDITORIAL BOARD**  
**Doctors of science, Professors**

ABASHISHVILI GIORGI, ABDUSHELISHVILI GIVI, ABRALAVA ANZORI (Corresponding Member of Georgian national Academy of Science), ASATIANI REVAZ (Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, ELIAVA LIA, TAKALANDZE LARISA, TURNAVA NATIA (President of the National Bank of Georgia), IZORIA MARINA, KURTANIDZE DAVITI (USA), KUTATELADZE RUSUDANI, KVALIASHVILI VAJA, LABARTKAVA GULTAZI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MELADZE SERGO, MEQVABISHVILI ELGUJA, NARMANIA DAVITI, PAICHADZE NUGZARI, RO-KETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), SOLOGASHVILI DALI, UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KOCHLAMAZASHVILI LELA, KURASHVILI GUGULI, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHAGELISHVILI LALI, CHECHELASHVILI MAIA, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI (Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences), CHUMBURIDZE MAMIA, KHELASHVILI IOSEBI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA), TADEUSZ TROCIKOWSKI (POLAND), ANATOLI SHEVCHUK (RUSSIA), IACEK STROJNI (POLAND), ALIONA ALENIKOVA (UKRAINA), EVGENI DJUKOV (RUSSIA). MANTAUTAS RASKAUSKAS (LITHUANIA), VIKTORIA GRIGALIVANAITE (LITHUANIA).

# შინაარსი

<b>1. სათუნა სარხელაური, თამარ ქაჯანია</b> .....	<b>9</b>
პრობლემის მიზნების თეორიული ასპექტები	
<b>2. ქეთევან ზაციკაძე, ნუცა შამათავა</b> .....	<b>19</b>
პუნეობრივი მედიცინის პერსპექტივები	
<b>3. ქეთევან დავითური</b> .....	<b>23</b>
სოციალური მედიის მომხმარებლის როლი კონტენტის შექმნასა და გავრცელებაში	
<b>4. ირინე არჯვენიძე, ეკატერინე მარუაშვილი</b> .....	<b>32</b>
თანამედროვე განვითარება და ახალი ტენდენციები ანთროპოლოგიაში	
<b>5. ვაჟა ჩოჩია</b> .....	<b>36</b>
საერთაშორისო ურთიერთობები ევროპაში გერმანიის გაერთიანების შემდეგ (1871-1872წწ)	
<b>6. მარინა იზორია, გურამ მარსულია</b> .....	<b>43</b>
ვერსალ-ვაშინგტონის მსოფლიო წესრიგი: 1919-1939 წლების საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ძირითადი სტრუქტურები	
<b>7. ეკატერინე მარუაშვილი</b> .....	<b>52</b>
სოციალური ლინგვისტიკა: ურთიერთობა ენასა და საზოგადოებას შორის	
<b>8. ლარისა თაკალანძე</b> .....	<b>56</b>
საზოგადოებრივი სკოლა 2026: „ევროკავშირი, მშვიდობა და საქართველო“ ჟანრის მონაცემების ფარგლებში	

## CONTENTS

<b>1. KHATUNA KHARKHELARI, TAMAR KADJAIA .....</b>	<b>9</b>
THEORETICAL ASPECTS OF LABOUR MIGRATION	
<b>2. KETEVAN BATSIKADZE, NUTSA SHAMATAVA .....</b>	<b>19</b>
PERSPECTIVES OF NATURAL MEDICINE	
<b>3. KETEVAN DAVITURI .....</b>	<b>23</b>
THE ROLE OF THE SOCIAL MEDIA USER IN CREATING AND DISTRIBUTING CON- TENT	
<b>4. IRINE ARJEVANIDZE, EKATERINE MARUASHVILI .....</b>	<b>32</b>
CONTEMPORARY DEVELOPMENTS AND EMERGING TRENDS IN ANTHROPOLOGY	
<b>5. VAZHA CHOCHIA .....</b>	<b>36</b>
INTERNATIONAL RELATIONS IN EUROPE AFTER THE UNIFICATION OF GERMANY (1871-1872)	
<b>6. MARINA IZORIA, GURAM MARKHULIA .....</b>	<b>43</b>
THE VERSAILLES-WASHINGTON WORLD ORDER: THE BASIC STRUCTURES OF THE SYSTEM OF INTERNATIONAL RELATIONS 1919-1939	
<b>7. EKATERINE MARUASHVILI .....</b>	<b>52</b>
SOCIOLINGUISTICS: THE RELATIONSHIP BETWEEN LANGUAGE AND SOCIETY	
<b>8. LARISA THAKALANDZE .....</b>	<b>56</b>
SUMMER SCHOOL 2026 „EUROPEAN UNION, PEACE AND GEORGIA“	

**შრომითი მიგრაციის თეორიული ასპექტები**  
(კლასიკური და თანამედროვე მიდგომების შედარება)

**ხათუნა ხარხელაური**  
**სტუ-ის ასოცირებული პროფესორი**  
**თამარ ქაჯაია**  
**სტუ-ის ასოცირებული პროფესორი**

<https://doi.org/10.52340/gbsab.2026.58.01>

**შესავალი**

შრომითი მიგრაცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისა და საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს წარმოადგენს. გლობალიზაციის, ეკონომიკური უთანასწორობის, ტექნოლოგიური განვითარებისა და შრომის ბაზრების ტრანსფორმაციის პირობებში, შრომითი მიგრაცია სულ უფრო მასშტაბურ, დინამიკურ და მრავალმხრივ ხასიათს იძენს. როგორც გამგზავნი, ისე მიმღები ქვეყნები მიგრაციის პროცესის შედეგად განიცდიან მნიშვნელოვან დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს, რაც ამ ფენომენის მეცნიერულ ანალიზს განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს.

შრომითი მიგრაციის კვლევა ვერ შემოიფარგლება ერთი თეორიული მიდგომით. სხვადასხვა ეპოქაში ჩამოყალიბებული თეორიები განსხვავებულად განმარტავენ მიგრაციის მიზეზებს, მექანიზმებსა და შედეგებს. დაწყებული რავენშტეინის „მიზიდვა-განზიდვის“ (PUSH-PULL) პრიმიტიული მოდელიდან, შემდგომი ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია და შრომის ბაზრის დუალიზმის თეორია მიგრანტს განიხილავენ, როგორც რაციონალურ „HOMO ECONOMICUS-ს“, რომელიც გადაწყვეტილებას ხარჯებისა და სარგებლის გათვლის საფუძველზე იღებს.

თუმცა, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით მიგრაციის ახსნა არასაკმარისია. სტატიაში კრიტიკულადაა გაანალიზებული კლასიკური თეორიების ის ნაკლოვანებები, რომლებიც ვერ ხსნიან ე.წ. „უძრაობის პარადოქსს“ ან მიგრაციის გაგრძელებას ეკონომიკური მიზეზების ამოწურვის შემდეგ. ამ ხარვეზების შესავსებად, ნაშრომი გვთავაზობს უახლესი პარადიგმების — მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორიის (NELM), სოციალური კაპიტალის, ტრანსნაციონალიზმისა და მიგრაციული სისტემების — სინთეზს. სწორედ ამ მრავალფეროვნების გამო, შრომითი მიგრაციის ანალიზი საჭიროებს კომპლექსურ და კრიტიკულ მიდგომას.

**ნაშრომის მიზანია** შრომითი მიგრაციის ძირითადი თეორიების სისტემატიზაცია, მათი შედარებითი ანალიზი და ძლიერი თუ სუსტი მხარეების გამოვლენა. ნაშრომი ეყრდნობა საერთაშორისო აკადემიურ ლიტერატურას და მიზნად ისახავს შრომითი მიგრაციის პროცესის მრავალგანზომილებიანი ბუნების წარმოჩენას.

**ძირითადი ტექსტი**

**ნეოკლასიკური წინამძღვრები: რავენშტეინის „კანონები“ და „PUSH-PULL“ მოდელის კონცეპტუალიზაცია.**

თანამედროვე მიგრაციული თეორიების ეპისტემოლოგიური ფუნდამენტი XIX საუკუნის მიწურულს ჩაეყარა. მიგრაციის მეცნიერული შესწავლა უკავშირდება

გერმანელ-ბრიტანელი კარტოგრაფისა და სტატისტიკოსის, ერნსტ გეორგ რავენშტეინის (E.G. RAVENSTEIN) სახელს, რომელმაც 1885-1889 წლებში, ბრიტანეთის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბა „მიგრაციის კანონები“ რომლებიც დღემდე ითვლება მიგრაციული კვლევების კლასიკურ საფუძვლად (RAVENSTEIN, 1885). რავენშტეინის მიდგომა იყო ემპირიული პოზიტივიზმის კლასიკური ნიმუში, რომლის მიზანს წარმოადგენდა მიგრაციული ნაკადების ქცევითი კანონზომიერებების დადგენა.

რავენშტეინის მიერ ფორმულირებული პოსტულატები დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას, კერძოდ:

1. მანძილის ფაქტორი: მიგრანტთა უმრავლესობა გადაადგილდება მცირე მანძილზე, ხოლო შორ მანძილზე მიგრაცია უპირატესად მიმართულია მსხვილი ინდუსტრიული და კომერციული ცენტრებისკენ (DISTANCE DECAY-ის პრინციპი).

2. ეტაპობრიობა: მიგრაცია ხორციელდება ეტაპობრივად (STEP-BY-STEP MIGRATION) — სოფლიდან დაბაში, დაბიდან მცირე ქალაქში და ბოლოს მეტროპოლისში.

3. ტექნოლოგიური დეტერმინიზმი: ტექნოლოგიების, კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის განვითარება პირდაპირპროპორციულად ზრდის მიგრაციის მოცულობას.

4. ეკონომიკური ფაქტორის დომინირება: მიუხედავად სხვა ფაქტორებისა, მიგრაციის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა ეკონომიკური სარგებელია.

აღნიშნული კანონები XX საუკუნის მეორე ნახევარში სისტემატიზებულ იქნა სოციოლოგ ევერეტ ლის (EVERETT LEE) მიერ, რომელმაც 1966 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომში „მიგრაციის თეორია“ საბოლოო სახე მისცა ე.წ. „PUSH-PULL“ (განზიდვა-მიზიდვის) მოდელს (LEE, 1966). ლის მიხედვით, მიგრაციული გადაწყვეტილება ოთხი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია:

1. ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოშობის ადგილთან (PUSH — უმუშევრობა, დაბალი შემოსავალი, პოლიტიკური რეპრესია);

2. ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია დანიშნულების ადგილთან (PULL — მაღალი ხელფასი, უსაფრთხოება, უკეთესი სოციალური გარემო);

3. შუალედური დაბრკოლებები (INTERVENING OBSTACLES — მანძილი, ფიზიკური საზღვრები, სავიზო რეგულაციები);

4. პერსონალური ფაქტორები (ასაკი, განათლება, რისკისადმი დამოკიდებულება).

მიუხედავად იმისა, რომ „PUSH-PULL“ მოდელი დღემდე გამოიყენება როგორც საბაზისო ევრისტიკული ჩარჩო, თანამედროვე აკადემიურ დისკურსში მას ხშირად აკრიტიკებენ ისტორიული კონტექსტის უგულვებელყოფისა და პროცესის ზედმეტად მექანიკური აღქმის გამო. მოდელი ადამიანებს არ განიხილავს როგორც რთულ სოციალურ არსებებს, რომლებსაც აქვთ ემოციები, შიშები და ოჯახური ვალდებულებები. მოდელი მიგრაციას განიხილავს როგორც ინდივიდუალურ აქტს და ვერ ხსნის სტრუქტურულ ძალებს (მაგალითად, გლობალურ უთანასწორობას ან ცენტრი-პერიფერიის სტრუქტურულ ურთიერთდამოკიდებულებას), რომლებიც ხშირად განსაზღვრავენ მიგრანტის „არჩევანს“ მისგან დამოუკიდებლად.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის საკითხებს ძირითად ეკონომიკურ თეორიაში შედარებით მცირე ყურადღება ეთმობა მიგრაციის ეკონომიკურმა ახსნებმა დომინანტური ადგილი დაიკავა აკადემიურ დისკურსში. (HAAS, 2008)

**ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია - ნეოკლასიკური წონასწორობის პერსპექტივა.**

ეს თეორია მიგრაციის კვლევაში ყველაზე გავლენიანი თეორია მე-20 საუკუნეში. ამ

თეორიის ძირითადი იდეაა, რომ არსებობს გეოგრაფიული დისბალანსი: მსოფლიოში საწარმოო ფაქტორები (შრომა და კაპიტალი) არათანაბრად არის განაწილებული და მიგრაცია ბუნებრივი მექანიზმია, რომელსაც ეკონომიკური სისტემა წონასწორობაში (EQUILIBRIUM) მოჰყავს. ამ თეორიის მიმდევრები მიგრაციას განიხილავენ როგორც შრომითი რესურსების ეფექტიან გადანაწილებას ბაზრის ძალების (მოთხოვნა-მიწოდების) მიერ. თეორია იყოფა ორ ძირითად დონედ: მაკრო (ქვეყნების დონე) და მიკრო (ინდივიდის დონე).

მაკრო დონეზე მიგრაციას განიხილავენ, როგორც სამუშაო ძალის გადანაწილებას ღარიბი (განვითარებადი) რეგიონებიდან/ქვეყნიდან, სადაც ჭარბია მუშახელი, მაგრამ ცოტაა კაპიტალი (ფული/ტექნოლოგია) და ხელფასი დაბალია, მდიდარ რეგიონებში/ქვეყნებში (განვითარებული) სადაც კაპიტალი ჭარბია, მაგრამ აკლია მუშახელი და ხელფასი მაღალია. პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ხელფასები არ გათანაბრდება (წონასწორობა). მიგრაციის შედეგად სამუშაო ძალა ნაკლებად დეფიციტური ხდება მიმღებ ტერიტორიებზე და უფრო იშვიათი — გამგზავნ რეგიონებში, მაშინ როდესაც კაპიტალი (ინვესტიციები) საპირისპირო მიმართულებით მიედინება (იაფი მუშახელისკენ). ამ პროცესს უნდა მოჰყვეს ფაქტორული ფასების გათანაბრება (HECKSCHER–OHLIN-ის მოდელი) (JONES, 2008).

მიკრო დონეზე ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია ემყარება „რაციონალური არჩევანის“ (RATIONAL CHOICE) პრინციპს. ინდივიდუალურ დონეზე ეს პერსპექტივა ეყრდნობა „HOMO ECONOMICUS“-ის (ეკონომიკური ადამიანის) კონცეფციას. ამ კონცეფციის მიხედვით მიგრანტები არიან რაციონალური აქტორები, რომლებიც მიგრაციის გადაწყვეტილებას იღებენ ხარჯი-სარგებლის გაანგარიშების საფუძველზე.

ნეოკლასიკური თეორია სოფლისა და ქალაქის შორის მიგრაციას განვითარების პროცესის ორგანულ ნაწილად განიხილავს. სოფლის ჭარბი სამუშაო ძალა მიემართება ქალაქის ინდუსტრიულ ეკონომიკისკენ (LEWIS, 1954). ეკონომიკური ზრდის ფეი-რანისის მოდელი განვითარების/კეთილდღეობის ეკონომიკაში „დუალიზმის მოდელის“ სახელითაა ცნობილი და შესაძლოა მივიჩნიოთ, როგორც ლუისის „დუალური სექტორის მოდელის“ უფრო კომპლექსური ხედვა. მოდელი განიხილავს ქვეყანას, სადაც არსებობს ორი სექტორი: (1) ტრადიციული სექტორი (სოფლის მეურნეობა) რომელიც ხასიათდება ჭარბი მუშახელით და დაბალი მწარმოებლურობით და (2) თანამედროვე სექტორი (ინდუსტრია), რომელიც ხასიათდება კაპიტალის დაგროვებითა და მაღალი ტექნოლოგიებით. (LEWIS, 1954), (RANIS & FEI, 1961). მოდელი განიხილავს განვითარების სამ ფაზას: (1) საწყის (LMP = 0) ფაზის, როდესაც ხდება სოფლის მეურნეობიდან ჭარბი სამუშაო ძალის მიგრაცია ინდუსტრიულ სექტორში დაბალ ხელფასზე („საარსებო მინიმუმზე“), ისე რომ სოფლის მეურნეობას ზიანი არ მიადგეს, (2) შემდგომ (LMP > 0) ფაზას, როდესაც მუშახელის გადინება გრძელდება, მაგრამ სოფლად ხალხი მცირდება. ახლა უკვე მუშის წასვლა ამცირებს სასოფლო პროდუქციის გამომშვებას. საკვები პროდუქტების დეფიციტი იწვევს ფასების ზრდას და (3) ეს არის გარდამტეხი ფაზა. სოფლის მეურნეობა თავად ხდება ბიზნესი. სოფელში დარჩენილი მუშები იღებენ იმდენს, რამდენიც არის მათი რეალური შრომის ღირებულება. ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა უკვე კონკურენციას უწევენ ერთმანეთს მუშახელისთვის, ხელფასები ორივე სექტორში იზრდება და ეკონომიკა ხდება განვითარებული. ინდუსტრიულ სექტორს უწევს ხელფასების გაზრდა, რათა მუშებმა ძვირი საკვების ყიდვა შეძლონ. ეს ანელებს ინდუსტრიულ ზრდას.

მოგვიანებით ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია განვითარდა, და მიგრაცია ჩასვა ადამიანური კაპიტალის თეორიულ ჩარჩოში, სადაც მიგრაცია განიხილება როგორც ინვესტიცია. ადამიანი დებს ფულს და ძალისხმევას (მიდის უცხოეთში),

რათა მომავალში მიიღოს მეტი უკუგება. ლარი სიაასტადა (SJAASTAD, 1962) თვლის, რომ ინდივიდი არის რაციონალური აქტორი, რომელიც ითვლის მოსალოდნელ შემოსავალს და აკლებს მიგრაციის ფულად (გადაადგილების ხარჯები, საცხოვრებლისა და დასაქმების ძიების ხარჯები), შესაძლებლობის (დაკარგული შემოსავალი სამუშაოს ძიების პერიოდში, დროებითი უმუშევრობა) და ფსიქოლოგიურ (ოჯახის, გარემოს, სოციალური კავშირების დატოვება) ხარჯებს. თუ სარგებელი მეტია ხარჯზე, ის მიდის ემიგრაციაში. მიგრაციის სარგებელი გამოიხატება უფრო მაღალი ხელფასით, უკეთესი დასაქმების შესაძლებლობებით, პროდუქტიულობის ზრდითა და ზოგჯერ მოხმარებითი სარგებლით (მაგ. ცხოვრების პირობები).

ეს მიდგომა განვითარდა ე.წ ჰარის-ტოდაროს მოდელის სახით, რომლის მიხედვით, შრომითი მიგრაცია სოფელიდან-ქალაქში და უფრო ფართო მამტაბითაც, განისაზღვრება არა რეალური ხელფასების სხვაობით, არამედ მოსალოდნელი შემოსავლის სხვაობით. მიგრაცია გრძელდება მანამ, სანამ ქალაქში მოსალოდნელი (EXPECTED) შემოსავალი (ხელფასი გამრავლებული დასაქმების ალბათობაზე) აღემატება სოფლის რეალურ შემოსავალს. (HARRIS & TODARO, 1970). მოდელი ცდილობს ახსნას, თუ რატომ გრძელდება განვითარებად ქვეყნებში სოფლის მოსახლეობის გადასვლა ქალაქებში მიუხედავად ურბანული უმუშევრობის ზრდისა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელები შიდა მიგრაციისთვის შეიქმნა, მისი ადაპტირება შესაძლებელია საერთაშორისო მიგრაციის ანალიზშიც. ჯორჯ ბორხასმა (BORJAS, 1989) წამოაყენა საერთაშორისო მიგრაციის ბაზრის იდეა, ხოლო ტორადომ და მარუშკომ შეიმუშავეს არალეგალური საერთაშორისო მიგრაციის მოდელი, რომელიც მოიცავს დაჭერისა და დეპორტაციის რისკებს (TODARO & MARUSZKO, 1987). ამ მოდელის მიხედვით მოსალოდნელ შემოსავალს ასევე აკლდება დაჭერის/დეპორტაციის ალბათობა გამრავლებული ჯარიმის/დეპორტაციის ხარჯებზე. სანამ ეს სხვაობა მეტი იქნება სამშობლოში არსებულ ხელფასზე მიგრანტები მაინც წავლენ რისკზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომები განსაკუთრებით ძლიერია ეკონომიკური ლოგიკისთვისაზრისით, ნაკლებად ითვალისწინებს ბაზრების არასრულყოფილებას, უგულებელყოფს ინსტიტუციურ ფაქტორებს (საზღვრებსა და ვიზებს), ყურადღებას ამახვილებს ინდივიდზე და ნაკლებად — ოჯახსა და სტრუქტურულ გარემოზე. ნაცვლად დაპირებული „წონასწორობისა“, რეალობაში ხშირია, რომ მიგრაცია კიდევ უფრო აღრმავებს უფსკრულს ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის (HAAS, 2008). მიუხედავად ამისა, ისინი წარმოადგენენ მიგრაციის ეკონომიკური ანალიზის კლასიკურ და ფუნდამენტურ ნაშრომებს.

### **ისტორიულ-სტრუქტურალისტური დეტერმინიზმი**

ესარის ფართო თეორიული მიმართულება, რომელიც მიგრაციისა და განვითარების ანალიზში ჩამოყალიბდა 1960–1980-იან წლებში.

იმანუელ ვალერსტაინის მსოფლიო-სისტემური თეორია (WALLERSTEIN, 1974) ამტკიცებდა, რომ: მსოფლიო ეკონომიკა იყოფა ბირთვად (CORE), ნახევრადპერიფერიად და პერიფერიად. მიგრაცია არის კაპიტალისტური მსოფლიო-სისტემის შედეგი და პერიფერია სტრუქტურულად დამოკიდებულია ბირთვზე. აქ მიგრაცია აღიქმება როგორც გლობალური კაპიტალისტური სტრუქტურის პროდუქტი, ხოლო ინდივიდუალური არჩევანი მეორეხარისხოვანია.

ანდრე ფრანკის დამოკიდებულების თეორიის (FRANK, 1966) ძირითადი თეზისია: განვითარება და განუვითარებლობა ურთიერთდაკავშირებულია და პერიფერია „განვითარდა“ ბირთვის ექსპლუატაციის შედეგად. მიგრაცია აქ

განიხილება როგორც: სტრუქტურული უთანასწორობის შედეგი და კაპიტალისტური ექსპანსიის ნაწილი.

სამირ ამინის პერიფერიის სტრუქტურული დაქვემდებარება (AMIN, 1974) მიგრაციას ხედავს როგორც გლობალური კაპიტალის დაგროვების მექანიზმსა და სამუშაო ძალის გადინებას პერიფერიიდან ბირთვისკენ.

უშუალოდ მიგრაციის კვლევებში მიგრაციის ისტორიულ-სტრუქტურალისტური (სტრუქტურაზე ორიენტირებული) ხედვაში, მკაფიოდ განიხილება მიგრაცია, როგორც კაპიტალისტური წარმოების საჭიროების შედეგი, შრომის ბაზრის სტრუქტურული მოთხოვნის პროდუქტი და ინდივიდუალური არჩევანი პრაქტიკულად იგნორირებულია (CASTLES & KOSACK, IMMIGRANT WORKERS AND CLASS STRUCTURE IN WESTERN EUROPE, 1973). ეს მიდგომა პლურალისტურმა თეორიებმა გააკრიტიკეს, რადგან ის ზედმეტად აქცენტირებდა სტრუქტურულ შეზღუდვებზე და ნაკლებად — ინდივიდებისა და ოჯახების აგენტურობაზე.

სოციალური კაპიტალი - მიგრაციული ქსელები და სისტემები

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ფაქტორები ხშირად მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ მამომრავებელ ძალად ითვლება და ადამიანები მიისწრაფვიან უკეთესი საცხოვრებელი პირობების მქონე ადგილებისკენ, მხოლოდ ეს ერთი ფაქტორი ვერ ხსნის მიგრაციის ზოგიერთ ფორმას.

ქსელური თეორია მიგრაციას სოციალური კაპიტალის პრიზმიდან განიხილავს. მისი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ მიგრაციის გაგრძელება და გავრცელება არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით, არამედ პიროვნებათაშორისი კავშირებით — ნათესაობით, მეგობრობით და საერთო თემობრივი წარმომავლობით — არის განპირობებული.

თეორიის ცენტრალური კონცეფციაა „ჯაჭვური მიგრაცია“, სადაც პიონერი მიგრანტები დანიშნულების ადგილზე „ფორპოსტებად“ იქცევიან, რომლებიც შემდგომ მოსულებს ინფორმაციით, საცხოვრებელით და დასაქმების შესაძლებლობებით ეხმარებიან. ეს პროცესი მიგრაციის ხარჯებსა და რისკებს ამცირებს, რის შედეგადაც სულ უფრო მეტ ადამიანს შეუძლია მიგრაციის საშუალება — მიგრაცია ნაკლებად სელექციური ხდება.

დუგლას მეისის მიხედვით, ქსელური კავშირების კრიტიკულ ზღვარს მიღწევის შემდეგ მიგრაცია ხდება თვითშენარჩუნებადი (თვითკმარი) და საწყისი მიზეზების გაქრობის შემდეგაც გრძელდება. კუმულაციური მიზეზი შედეგობრიობა (CUMULATIVE CAUSATION) ეს არის მეისის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეფცია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მიგრაცია თავადვე შობს ახალ მიგრაციას. ამასთანავე, ტრანსნაციონალური იდენტობა ხსნის ფულადი გზავნილების ფენომენს, რომელსაც ნეოკლასიკური თეორია ვერ ხსნის. (MASSEY, და სხვ., 1993)

თუმცა, თეორიას სუსტი მხარეებიც აქვს. ის ვერ განმარტავს, თუ რა იწვევს ქსელების საბოლოო დასუსტებას. გარდა ამისა, მიგრანტები ყოველთვის „ფორპოსტები“ კი არ არიან — შეიძლება „კარისმცველებადაც“ იქცნენ, როდესაც ახალ მოსულთა დახმარებაზე უარს ამბობენ. ქსელები ასევე გამომრიცხავი ხასიათისაა — ნათესაური ჯგუფების გარეთ დარჩენილთათვის მიგრაცია მაინც შეუძლებელი რჩება.

მიგრაციული სისტემების თეორია, ქსელური თეორიის ლოგიკას აფართოებს და მიგრაციას ბევრად უფრო ფართო სისტემურ კონტექსტში ათავსებს. მისი ავტორების განმარტებით, მიგრაციული სისტემა არის ადგილების ერთობლიობა, რომლებიც ადამიანების, საქონლის, კაპიტალისა და ინფორმაციის ორმხრივი ნაკადებით არის დაკავშირებული. (MABOGUNJE, 1970)

თეორიის ფუნდამენტური პრინციპია, რომ მიგრაცია მთლიანად გარდაქმნის

სოციო-ეკონომიკურ გარემოს — როგორც წარმოშობის, ისე დანიშნულების ადგილებში — და ამით თავად განსაზღვრავს შემდგომი მიგრაციის ხასიათს. ეს ორმხრივი, დინამიკური უკუკავშირი მთავარი განმასხვავებელია ქსელური თეორიისგან, რომელიც ძირითადად პიროვნებათაშორის კავშირებზე ამახვილებს ყურადღებას.

თეორია ასევე ხსნის მიგრაციის გეოგრაფიულ სტრუქტურირებას: მიგრაციული ნაკადები კლასტერულია და კონკრეტული ტერიტორიები კონკრეტულ დანიშნულების ადგილებს უკავშირდება — მაგალითად, ჩრდილოეთ აფრიკა ევროკავშირს, ან მექსიკა აშშ-ს. ამ კლასტერულ ნიმუშს ნეოკლასიკური ეკონომიკური ფაქტორები ვერ ხსნიან. (MASSEY, და სხვ., 1993)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „სოციალური გზავნილების“ კონცეფცია (LEVITT, 1998): მიგრაციის დონორ საზოგადოებაში დაბრუნებული იდეები, ქცევები და ღირებულებები ადამიანების მისწრაფებებსა და შემდგომ მიგრაციულ გადაწყვეტილებებს აყალიბებს. ამდენად, თეორია თვლის, რომ მიგრაციის გავლენა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ მიგრანტებზე, არამედ მთლიანად გამგზავნ საზოგადოებაზე, მათ შორის არამიგრანტებზეც.

მიგრაციული ქსელებისა და სისტემების კონცეფცია მისი წინამორბედი, კერძოდ ნეოკლასიკური თეორიისაგან, რამდენიმე ასპექტში განსხვავდება. ნეოკლასიკური მოდელი ფულად გზავნილებს ვერ ხსნის, რადგან ინდივიდუალისტური ლოგიკის პირობებში გადარიცხვის მოტივი არ არსებობს, ხოლო ქსელური თეორიისთვის სწორედ ტრანსნაციონალური კავშირები და საზოგადოებრივი კუთვნილების განცდა გზავნილების ბუნებრივ ახსნას იძლევა. ნეოკლასიკური თეორია მიგრაციას დროებით მოვლენად განიხილავს, რომელიც ხელფასების გათანაბრებით თავისთავად წყდება — ქსელური თეორია კი ადასტურებს, რომ ქსელები მიგრაციას ახანგრძლივებს ორიგინალური ეკონომიკური მიზეზების გაქრობის შემდეგ.

შრომით მიგრაციასა და ქვეყნის განვითარების დონეებს შორის ურთიერთქმედების პლურალისტური ხედვები

მიგრაციასა და განვითარებას შორის ურთიერთკავშირის გააზრება დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდა, განსაკუთრებით 1980-იანი წლების შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდა ე.წ. პლურალისტური მიდგომა. აღნიშნული პარადიგმა წარმოიშვა როგორც რეაქცია ნეოკლასიკური და ისტორიულ-სტრუქტურალისტური თეორიების ცალმხრივობაზე და მიზნად ისახავდა სტრუქტურული და აქტორული ფაქტორების ინტეგრაციას (GIDDENS, 1984).

პლურალისტური ხედვის საფუძველში დგას დაშვება, რომ მიგრაციისა და განვითარების ურთიერთქმედება არ არის ერთმნიშვნელოვანი ან სწორხაზოვანი. პირიქით, იგი წარმოადგენს მრავალმხრივ და ჰეტეროგენულ პროცესს, რომელიც განპირობებულია როგორც მაკრო-დონის სტრუქტურული პირობებით (პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური გარემო), ისე მიკრო-დონის გადაწყვეტილებებითა და სტრატეგიებით. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „აგენტურობას“, ანუ ინდივიდებისა და შინამეურნეობების უნარს, იმოქმედონ არსებული შეზღუდვების ფარგლებში და გარკვეულწილად გარდაქმნან ეს გარემო.

პლურალისტური მიდგომის განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შრომითი მიგრაციის ახალმა ეკონომიკურმა თეორიამ (NEW ECONOMICS OF LABOUR MIGRATION – NELM), (STARK & BLOOM, 1985) რომელიც მიგრაციას განიხილავს არა ინდივიდუალური, არამედ შინამეურნეობრივი გადაწყვეტილების შედეგად (MASSEY, და სხვ., 1993). აღნიშნული თეორიის მიხედვით, მიგრაცია წარმოადგენს სტრატეგიულ ინსტრუმენტს, რომლის მიზანია არა მხოლოდ შემოსავლის მაქსიმიზაცია, არამედ რისკების დივერსიფიკაცია და მინიმიზაცია

(ODED STARK & LEVHARI). ამგვარად, მიგრაცია ფუნქციონირებს როგორც ერთგვარი „დაზღვევის მექანიზმი“, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც განვითარებად ქვეყნებში ფინანსური და სადაზღვევო ბაზრები არასრულყოფილია.

NELM-ის პარალელურად განვითარდა „საარსებო წყაროს“ (LIVELIHOOD) მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს, რომ შინამეურნეობები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას საკუთარი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად (CARNEY, 1998.) (ELLIS, 2000). ამ მიდგომის ფარგლებში მიგრაცია განიხილება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ფართო საარსებო სტრატეგიაში, რომელიც მოიცავს როგორც აგრარულ, ისე არააგრარულ საქმიანობებს. მიგრაცია ამ კონტექსტში აღიქმება არა მხოლოდ კრიზისზე რეაგირებად, არამედ როგორც წინასწარ დაგეგმილ და რაციონალურ გადაწყვეტილებად, რომელიც მიმართულია შემოსავლების სტაბილიზაციასა და ინვესტიციების შესაძლებლობების გაფართოებაზე.

პლურალისტური ხედვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განზომილებაა ტრანსნაციონალიზმის კონცეფცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მიგრანტთა მრავალლოკაციურ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებზე (CASTLES & MILLER, THE AGE OF MIGRATION, 2003). (FAIST, 1998). ტრანსნაციონალური პერსპექტივა უარყოფს ტრადიციულ დიქოტომიას „წარმოშობისა“ და „დანიშნულების“ ქვეყნებს შორის და ამტკიცებს, რომ მიგრანტებს შეუძლიათ ერთდროულად იყვნენ ჩართული ორივე სივრცეში. ამგვარად, მიგრანტთა ინტეგრაცია მიმდებ ქვეყანაში არ გამორიცხავს მათ აქტიურ მონაწილეობას წარმოშობის ქვეყნის განვითარებაში.

თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ ტრანსნაციონალური კავშირები, როგორცაა რემიტენსები, ინვესტიციები და სოციალური ქსელები, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკების განვითარებაში. ამასთან, პლურალისტური მიდგომა ხაზს უსვამს, რომ მიგრაციის გავლენა არ არის ერთგვაროვანი და დამოკიდებულია კონტექსტზე, რაც მოითხოვს კომპლექსურ და ინტერდისციპლინურ ანალიზს.

საბოლოოდ, პლურალისტური ხედვა ქმნის უფრო დაბალანსებულ და რეალისტურ ჩარჩოს მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის გასაანალიზებლად, რადგან იგი აერთიანებს როგორც სტრუქტურულ შეზღუდვებს, ისე ინდივიდებისა და შინამეურნეობების აქტიურ როლს. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, სადაც მიგრაცია ხშირად წარმოადგენს განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან ელემენტს.

## დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომი შრომითი მიგრაციის თეორიული ასპექტების შესახებ ნათლად აჩვენებს, რომ მიგრაცია წარმოადგენს მრავალგანზომილებიან და კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს, რომლის სრულყოფილი ახსნა შეუძლებელია ერთი თეორიული მიდგომის ფარგლებში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კლასიკური თეორიები, განსაკუთრებით ნეოკლასიკური ეკონომიკური მოდელები, მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიან მიგრაციის ანალიზისთვის, თუმცა მათი განმარტებითი ძალა შეზღუდულია, რადგან ისინი ძირითადად ინდივიდუალურ რაციონალურ არჩევანზე და ეკონომიკურ ფაქტორებზე კონცენტრირდებიან.

ნაშრომში განხილული ისტორიულ-სტრუქტურალისტური მიდგომები მიგრაციას განიხილავენ გლობალური ეკონომიკური სისტემისა და სტრუქტურული უთანასწორობის კონტექსტში, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს ანალიზის მასშტაბს, თუმცა ამავე დროს ამცირებს ინდივიდუალური და ოჯახური გადაწყვეტილებების როლს. ამის საპირწონედ, სოციალური კაპიტალის, მიგრაციული ქსელებისა და

სისტემების თეორიები უკეთ ხსნიან მიგრაციის დინამიკურ და თვითგამამყარებელ ბუნებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მიგრაციული პროცესები გრძელდება საწყისი ეკონომიკური მიზეზების ამოწურვის შემდეგაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პლურალისტურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს როგორც სტრუქტურულ, ისე აგენტურ ფაქტორებს და მიგრაციას განიხილავს არა მხოლოდ ინდივიდუალური არჩევანის, არამედ შინამეურნეობრივი სტრატეგიისა და რისკების მართვის მექანიზმის კონტექსტში. აღნიშნული პერსპექტივა ქმნის უფრო რეალისტურ და დაბალანსებულ თეორიულ ჩარჩოს, რომელიც უკეთ ასახავს თანამედროვე მიგრაციული პროცესების მრავალფეროვნებას.

საბოლოოდ, ნაშრომი ადასტურებს, რომ შრომითი მიგრაციის ეფექტიანი ანალიზი საჭიროებს ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ ფაქტორებს. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს მნიშვნელოვან თეორიულ საფუძველს მიგრაციის შემდგომი, მათ შორის ემპირიული, კვლევებისთვის და ხელს უწყობს ამ სფეროში არსებული ცოდნის სისტემატიზაციასა და გაღრმავებას.

## ბიბლიოგრაფია

1. Amin, S. (1974). *Accumulation on a World Scale*. New York: Monthly Review Press. Retrieved from <https://dokumen.pub/accumulation-on-a-world-scale-a-critique-of-the-theory-of-underdevelopment-2-volumes-1-2-0853452725-9780853452720.html>
2. Borjas, G. J. (1989). *Economic Theory and International Migration*. *International Migration Review*. doi:<https://doi.org/10.1177/019791838902300304>
3. Carney, D. (1998.). *Sustainable Rural Livelihoods: What Contribution Can We Make?* Department for International Development. Retrieved from [https://books.google.ge/books/about/Sustainable\\_Rural\\_Livelihoods.html?id=0RxFAAAAYAAJ&redir\\_esc=y](https://books.google.ge/books/about/Sustainable_Rural_Livelihoods.html?id=0RxFAAAAYAAJ&redir_esc=y)
4. Castles, S., & Kosack, G. (1973). *Immigrant Workers and Class Structure in Western Europe*. London: Oxford University Press.
5. Castles, S., & Miller, M. J. (2003). *The Age of Migration*. Palgrave Macmillan. Retrieved from [https://books.google.ge/books/about/The\\_Age\\_of\\_Migration.html?id=gNsrnwEACAAJ&redir\\_esc=y](https://books.google.ge/books/about/The_Age_of_Migration.html?id=gNsrnwEACAAJ&redir_esc=y)
6. Ellis, F. (2000). *RURAL LIVELIHOOD DIVERSITY IN DEVELOPING COUNTRIES: EVIDENCE AND POLICY IMPLICATIONS*. Oxford University Press. Retrieved from [https://books.google.ge/books/about/Rural\\_Livelihoods\\_and\\_Diversity\\_in\\_Devel.html?id=9LSqQgAACAAJ&redir\\_esc=y](https://books.google.ge/books/about/Rural_Livelihoods_and_Diversity_in_Devel.html?id=9LSqQgAACAAJ&redir_esc=y)
7. Faist, T. (1998). *INTERNATIONAL MIGRATION AND TRANSNATIONAL SOCIAL SPACES: THEIR EVOLUTION, SIGNIFICANCE AND FUTURE PROSPECTS*. Bremen: Institut für Interkulturelle und Internationale Studien.
8. Frank, A. G. (1966). *The Development of Underdevelopment*. *Monthly Review*, 17–31. Retrieved from [https://www.bresserpereira.org.br/terceiros/cursos/2010/1970.The\\_Development\\_of\\_Underdevelopment.pdf](https://www.bresserpereira.org.br/terceiros/cursos/2010/1970.The_Development_of_Underdevelopment.pdf)
9. Giddens, A. (1984). *The Constitution of Society - Outline of the Theory of Structuration*. University of California Press. Retrieved from [http://www.communicationcache.com/uploads/1/0/8/8/10887248/the\\_constitution\\_of\\_society.pdf](http://www.communicationcache.com/uploads/1/0/8/8/10887248/the_constitution_of_society.pdf)
10. Haas, H. d. (2008, 02). *Migration and development A theoretical perspective*. Retrieved from International Migration Institute: <https://www.migrationinstitute.org/publications/>

wp-09-08

11. Harris, J. R., & Todaro, M. P. (1970). Migration, Unemployment and Development: A Two-Sector Analysis. *The American Economic Review*, 126-142. Retrieved from <https://www.jstor.org/stable/1807860>
12. Jones, R. W. (2008). Heckscher–Ohlin Trade Theory. *The New Palgrave Dictionary of Economics*. doi:DOI 10.1057/978-1-349-95121-5\_1116-2
13. Lee, E. S. (1966). A Theory of Migration. *Demography*, 47-57. Retrieved from <http://links.jstor.org/sici?sici=0070-3370%281966%293%3A1%3C47%3AATOM%3E2.0.CO%3B2-B>
14. Levitt, P. (1998). Social Remittances: Migration Driven Local-Level Forms of Cultural Diffusion. *The International Migration Review*, 926-948. doi:<https://doi.org/10.2307/2547666>
15. Lewis, W. A. (1954). Economic Development with Unlimited Supplies of Labour. *The Manchester School*, 139-191. doi:<https://doi.org/10.1111/j.1467-9957.1954.tb00021.x>
16. Mabogunje, A. L. (1970). Systems Approach to a Theory of Rural-Urban Migration. *Geographical Analysis*, 1-18. doi:<https://doi.org/10.1111/j.1538-4632.1970.tb00140.x>
17. Massey, D. S., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A., & Taylor, J. E. (1993). Theories of International Migration: A Review and Appraisal. *Population and Development Review*, 431-466. doi:<https://doi.org/10.2307/2938462>
18. Oded Stark, O., & Levhari, D. (n.d.). On Migration and Risk in LDCs. *Economic Development and Cultural Change*,. Retrieved from <https://www.journals.uchicago.edu/doi/10.1086/451312>
19. Ranis, G., & Fei, J. C. (1961). A Theory of Economic Development. *The American Economic Review*, 533-565. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/1812785>
20. Ravenstein, E. G. (1885). The Laws of Migration. *Journal of the Statistical Society of London*, 167-235. Retrieved from <https://www.jstor.org/stable/2979181>
21. Sjaastad, L. A. (1962). The Costs and Returns of Human Migration. In U.-N. B. Research, *Investment in Human Beings* (pp. 80 - 93). *The Journal of Political Economy*.
22. Stark, O., & Bloom, D. E. (1985). The New Economics of Labor Migration. *The American Economic Review*. Retrieved from <https://www.jstor.org/stable/1805591>
23. Todaro, M. P., & Maruszko, L. (1987). Illegal Migration and US Immigration Reform: A Conceptual Framework. *Population and Development Review*, 101-114.
24. Wallerstein, I. (1974). *The Modern World-System*. LONDON: ACADEMIC PRESS. Retrieved from <http://pombo.free.fr/wallersteini.pdf>

## **“THEORETICAL ASPECTS OF LABOUR MIGRATION (A Comparative Analysis of Classical and Contemporary Approaches)”**

### **Abstract**

The paper “Theoretical Aspects of Labour Migration (A Comparative Analysis of Classical and Contemporary Approaches)” provides a comprehensive and systematic overview of the major theoretical frameworks used to explain labour migration. It emphasizes that migration is a complex, multidimensional socio-economic phenomenon that cannot be fully understood through a single theoretical lens. Instead, the study adopts a comparative and integrative approach, analyzing the evolution of migration theories from classical to contemporary paradigms.

The paper begins with the foundational contributions of Ernst Georg Ravenstein, whose “laws of migration” laid the groundwork for empirical migration studies in the late 19th century. These ideas were later refined by Everett Lee’s “push-pull” model, which conceptualizes migration as the result of interacting factors related to origin and destination areas, intervening obstacles, and individual characteristics. While these classical approaches remain influential, the paper critically highlights their limitations, particularly their mechanistic nature and insufficient attention to broader structural and social dimensions.

Platforms such as Facebook, Instagram, TikTok, X, and YouTube influence communication patterns, political participation, economic activities, and cultural expression. Anthropologists analyse how individuals present themselves online, how digital communities develop collective identities, and how algorithms shape information flows. Research has demonstrated that social media can strengthen social connections while also contributing to misinformation, polarization, and privacy concerns.

Artificial intelligence represents another emerging frontier in anthropology. As AI systems become increasingly integrated into everyday life, anthropologists are examining their social and cultural implications. Researchers explore how people interact with intelligent machines, how algorithms influence decision-making processes, and how technological systems reflect cultural assumptions and values. Anthropologists also contribute to discussions about ethical AI development, emphasizing the importance of fairness, transparency, and cultural sensitivity in technological design.

The growing influence of biotechnology has created new opportunities for anthropological research. Advances in genomics, genetic engineering, reproductive technologies, and personalized medicine raise important questions about identity, ethics, and human diversity. Anthropologists investigate how different societies understand genetic information and how scientific developments influence concepts of race, kinship, and health. Recent genetic studies have provided increasingly detailed insights into human evolutionary history, migration patterns, and population relationships, complementing traditional archaeological and fossil evidence.

Climate change has become one of the most urgent topics in contemporary anthropology. Anthropologists study how communities experience environmental transformations, adapt to changing conditions, and develop strategies for resilience. Climate change affects food security, water resources, migration patterns, health outcomes, and cultural traditions. Indigenous communities are often at the centre of these studies because their traditional ecological knowledge offers valuable insights into sustainable environmental management. Anthropologists emphasize that climate change is not only an environmental issue but also a social, cultural, and political challenge.

Environmental anthropology examines the relationships between humans and their natural surroundings. Researchers investigate how cultural beliefs, economic systems, and political institutions shape environmental practices. Anthropological studies have shown that local knowledge systems often contain sophisticated understandings of ecosystems developed over generations. By integrating scientific and indigenous perspectives, environmental anthropology contributes to conservation efforts and sustainable development initiatives.

Medical anthropology has gained increasing importance in the modern world, particularly following global health crises. Medical anthropologists study health, illness, healthcare systems, and medical practices across cultures. They examine how cultural beliefs influence perceptions of disease, treatment choices, and healthcare access. During the COVID-19 pandemic, anthropologists contributed valuable insights into public responses to health policies, vaccine acceptance, misinformation, and social inequalities. Their research demonstrated that effective healthcare strategies must consider cultural contexts alongside biological factors.

The anthropology of pandemics has become a significant area of research. Anthropologists analyse how societies respond to infectious diseases, how fear and uncertainty influence behaviour, and how public health measures affect social relationships. Comparative studies of historical and contemporary pandemics help identify patterns of adaptation and resilience. Such research contributes to more culturally informed approaches to public health planning and crisis management.

Urban anthropology has expanded rapidly as urbanization continues worldwide. More than half of the global population now lives in cities, making urban environments central to contemporary human experience. Urban anthropologists investigate housing, infrastructure, migration, inequality, transportation, public spaces, and community formation. Cities provide unique opportunities to

study cultural diversity because they bring together people from different ethnic, linguistic, and socioeconomic backgrounds. Research in urban anthropology contributes to discussions about sustainable development, social inclusion, and quality of life.

Economic inequality remains a major concern within contemporary anthropology. Anthropologists examine the social consequences of poverty, wealth concentration, labour exploitation, and economic restructuring. By focusing on everyday experiences, researchers reveal how large-scale economic processes affect individual lives and local communities. Ethnographic studies of workers, entrepreneurs, and marginalized populations provide valuable perspectives on globalization and economic change.

Anthropologists have also become increasingly involved in human rights research. Human rights anthropology explores issues such as discrimination, gender equality, indigenous rights, refugee protection, and social justice. Researchers document human rights violations, analyse legal frameworks, and collaborate with advocacy organizations. Anthropology's emphasis on cultural understanding helps bridge differences between universal human rights principles and local cultural contexts.

Gender anthropology has undergone significant development over the past several decades. Earlier anthropological research often reflected assumptions about gender roles that were common in the societies where researchers lived. Contemporary anthropologists recognize that gender is socially and culturally constructed in diverse ways across different societies. Studies of gender examine power relations, identity formation, family structures, labour divisions, and social expectations. Research has demonstrated that concepts of masculinity, femininity, and gender diversity vary considerably across cultures and historical periods.

The anthropology of sexuality similarly explores the diverse ways societies understand sexual identity, relationships, and behaviour. Anthropologists emphasize that sexual norms are shaped by cultural values, religious beliefs, legal systems, and historical experiences. Cross-cultural research challenges assumptions about universality and highlights the diversity of human experiences.

Educational anthropology investigates learning processes both inside and outside formal educational institutions. Anthropologists examine how schools transmit cultural values, reproduce social inequalities, and shape individual identities. They also study informal learning environments, including families, workplaces, religious institutions, and digital communities. Educational anthropology contributes to policy discussions about curriculum development, multicultural education, and educational equity.

Another emerging field is space anthropology. As human activities extend beyond Earth through satellite technologies, space exploration, and plans for future settlements, anthropologists have begun investigating the cultural dimensions of space exploration. Researchers explore how humans adapt to extreme environments, create social systems in confined spaces, and imagine future extraterrestrial communities.

Public anthropology aims to make anthropological knowledge accessible beyond academic institutions. Public anthropologists engage with media, policymakers, educators, and community organizations to address contemporary social issues. By communicating research findings to broader audiences, they seek to promote informed public discussion and evidence-based decision-making. Topics such as migration, climate change, public health, technological innovation, and cultural diversity often benefit from anthropological perspectives.

The future of anthropology is likely to be shaped by increasing interdisciplinarity. Anthropologists frequently collaborate with biologists, psychologists, computer scientists, environmental researchers, economists, and public health specialists. These collaborations enable more comprehensive approaches to complex problems that cannot be fully understood through a

single discipline. Interdisciplinary research strengthens anthropology's ability to contribute to scientific knowledge and practical solutions.

In conclusion, contemporary anthropology continues to evolve in response to rapidly changing social, technological, and environmental conditions. New fields such as digital anthropology, AI anthropology, climate anthropology, and space anthropology demonstrate the discipline's adaptability and intellectual vitality. Despite these innovations, anthropology remains committed to its fundamental goal: understanding humanity in all its biological, cultural, historical, and linguistic diversity. By combining rigorous research with cultural sensitivity and ethical responsibility, anthropology provides valuable insights into some of the most important challenges facing the modern world.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Boas, F. (1911). *The Mind of Primitive Man*.
2. Malinowski, B. (1922). *Argonauts of the Western Pacific*.
3. Mead, M. (1928). *Coming of Age in Samoa*.
4. Lévi-Strauss, C. (1958). *Structural Anthropology*.
5. Harris, M. (2011). *Cultural Anthropology* (latest editions vary).

#### Resume

Anthropology is the scientific study of humanity, exploring human biological evolution, cultural diversity, language, and social organization across time and space. The discipline consists of four major branches: cultural anthropology, biological anthropology, archaeology, and linguistic anthropology. Modern anthropology examines contemporary issues such as globalization, migration, digital technologies, artificial intelligence, climate change, and public health. Through fieldwork, ethnographic research, and interdisciplinary collaboration, anthropologists seek to understand human behaviour, cultural practices, and social transformations. By connecting past and present human experiences, anthropology contributes to cross-cultural understanding, social development, and solutions to global challenges in an increasingly interconnected world.

# საერთაშორისო ურთიერთობები ევროპაში გერმანიის გაერთიანების შემდეგ (1871-1872წწ)

ვაჟა ჩოჩია  
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/gbsab.2026.58.05>

**საკვანძო სიტყვები:** ბისმარკი, ალექსანდრე II, გორჩაკოვი, ანდრაში, ბერლინი, ვენა.

**შესავალი.** გერმანიის გაერთიანების შემდეგ, კანცლერ ბისმარკის ხელმძღვანელობით, განისაზღვრა გერმანიის პოლიტიკის მთავარი მიმართულება, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ხელი შეეწყო დამარცხებული საფრანგეთის შემდგომი დასუსტებისა და იზოლაციისთვის საერთაშორისო ურთიერთობებში. გერმანიის გაერთიანების შემდეგ, რუსეთმა მიიღო დროებითი უპირატესობები საგარეო პოლიტიკის დარგში. ყირიმის ომის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, საფრანგეთის დამარცხებამ პრუსიასთან 1870 წელს ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რათა გადაესინჯათ 1856 წლის პარიზის ზავის შემზღუდავი მუხლები, რომლის მიხედვითაც რუსეთს ერთმეოდა უფლება ჰქონოდა სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სიმაგრეები შავ ზღვაზე.

საფრანგეთ-პრუსიის ომის წინ რუსეთმა განაცხადა, რომ ნეიტრალური რჩებოდა, რაც ძალიან ძალიან ხელსაყრელი იყო პრუსიისთვის. ბერლინიდან პასუხმა არ დააყოვნა და 1870 წლის ივლისში რუსეთის კანცლერმა და იმავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრმა გორჩაკოვმა მიიღო პრუსიის კანცლერის ბისმარკის თანხმობა, მხარი დაეჭირა რუსეთის ბრძოლისათვის პარიზის ზავის შემზღუდავი მუხლების გაუქმებისათვის.

## ძირითადი ნაწილი

დიდი პოლიტიკური და დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებულმა პრუსიის კანცლერმა ბისმარკმა დაინახა „შესაძლებლობა პირველად ისტორიის განმავლობაში შეექმნა ეროვნული გერმანული სახელმწიფო. 1862-1870 წლებში, რამდენიმე გაბედული სვლით, პრუსია მოაქცია გაერთიანებული გერმანიის სათავეში, თვით გერმანია კი წესრიგის ახალი სისტემის ცენტრში“<sup>1</sup>. გერმანიის გაერთიანება იყო დიდი მოვლენა, რომელმაც ევროპის პოლიტიკურ ისტორიაში ახალი რეალობა შემოიტანა. „გერმანიის გაერთიანებით შეიქმნა დომინანტური სახელმწიფო, რომელიც საკმაოდ ძლიერი იყო იმისთვის, რომ ცალ-ცალკე დაემარცხებინა ყველა მეზობელი და, ალბათ, კონტინენტის ყველა ქვეყანა ერთად. ლეგიტიმურობის ჯაჭვი გაწყდა. ახლა ყველაფერი ძალაუფლების პოლიტიკურ გათვლებზე იყო დამოკიდებული“<sup>2</sup>.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ ვენაში არ ჰქონდათ ბერლინის მიმართ გარკვეული პოლიტიკური კურსი. მმართველი წრეების ერთი ნაწილი გერმანიასთან კავშირს ანიჭებდა უპირატესობას, ხოლო მეორე ნაწილი და სამხედროების გარკვეული ზედაფენა რევანშისტულ პოზიციებს ემხრობოდნენ 1866 წელს

პრუსიასთან განცდილი დამარცხების გამო. ყოველივე ამას ბისმარკი კარგად ხედავდა და ცდილობდა ვენასთან დაახლოების პოლიტიკა გაეტარებინა და ამით ხელი შეეშალა სხვა სახელმწიფოებთან აქტიური თანამშრომლობა ეწარმოებინა.

1871 წლის 31 ოქტომბერს რუსეთმა ნოტა გაუგზავნა სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს პარიზის ზავს და აცნობა მათ, რომ ცალმხრივად აუქმებდა შავ ზღვაზე რუსეთისთვის შემზღუდავ მუხლებს. რუსეთის მთავრობის ამ ნაბიჯმა ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ისინი იძულებული გახდნენ შერიგებოდნენ ამას. დაინტერესებულ სახელმწიფოთა ლონდონის კონფერენციამ, რომელიც 1872 წლის იანვარში გაიმართა, გააუქმა 1856 წლის პარიზის ზავის მოძველებული მუხლები და დაამტკიცა შავი ზღვის ახალი სტატუსი, რომლის თანახმად სანაპირო სახელმწიფოები - თურქეთი და რუსეთი შესაძლებლობას იღებდნენ, რომ წინააღმდეგობის გარეშე განევიტარებინათ საკუთარი სამხედრო-საზღვაო ფლოტი და აეგოთ სიმაგრეები სანაპიროზე<sup>3</sup>.

საფრანგეთ-გერმანიის დაპირისპირება, რომელიც 1871 წლის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივი ფაქტორი გახდა, არსებითად ცვლიდა რუსეთის პოზიციებს ევროპაში და მის როლს ევროპულ პოლიტიკაში. რუსეთის მმართველ წრეებში დაიწყო საუბარი ახალი საღვთო კავშირის შექმნის შესახებ, რადგან პარიზის კომუნამ მთელი ევროპული რეაქცია შეაშინა. ამას ადასტურებდა იმპერატორ ალექსანდრე II-ს პოზიცია, რომ „ევროპული მთავრობები ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები უნდა იყვნენ ამ საქმეში და თანაზიარად მხარი დაუჭირონ ერთმანეთს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში“<sup>4</sup>.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები დასაწყისში საკმაოდ წარმატებით ვითარდებოდა. ორი იმპერიის კლასობრივი ბუნება, ტრადიციული დინასტიური და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები დიდი ხნის მანძილზე ხელს უწყობდა მათ დაახლოებას. აქედან გამომდინარეობდა მათი დაინტერესება, რომ მხარი დაეჭირათ ერთმანეთისათვის საერთაშორისო ურთიერთობებში. ხელმძღვანელობდა რა ამით, 1871 წლის ივნისში ბისმარკმა მიმართა ევროპის სახელმწიფოებს მოწოდებით - შეექმნათ თავისებური საღვთო კავშირი, რომელიც იბრძოლებდა რევოლუციებისა და სოციალიზმის წინააღმდეგ და ხელს შეუწყობდა შეენარჩუნებინათ ევროპაში „წესრიგი მონარქიულ საფუძველზე“<sup>5</sup>. ამ მოწოდებას, როგორც მოსალოდნელი იყო, მხურვალედ გამოეხმაურნენ ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის მონარქიული წრეები. ასე მზადდებოდა ნიადაგი სამი მონარქის კავშირისათვის, რომელიც მოგვიანებით, 1873 წლის 23 ოქტომბერს გაფორმდა სამი იმპერატორის კავშირის სახელწოდებით და მომდევნო წლების მანძილზე საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საფუძვლად იქცა გერმანიისათვის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბისმარკის განზრახვას გამოეყენებინა სამი იმპერატორის კავშირი გერმანიის ჰეგემონიის დასამყარებლად ევროპაში საფრანგეთის იზოლაციისა და შემდგომი დასუსტების გზით, რუსეთში გაგებით არ ეკიდებოდნენ, რადგან გერმანიის კიდევ უფრო გაძლიერება და მისი პოზიციების განმტკიცება ევროპაში, რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთს. აქედან გამომდინარე, 1871 წლის ფრანკფურტის ზავის შემდეგ (გერმანიასა და საფრანგეთს შორის), რუსეთის დიპლომატია ორ ფრონტზე მოქმედებდა. ერთი მხრივ, ცდილობდა შეენარჩუნებინა და გაეფართოებინა კონტაქტები გერმანიასთან და მეორე მხრივ, მხარი დაეჭირა საფრანგეთისათვის, როგორც გამაწონასწორებელი ძალისათვის გერმანიის ჰეგემონისტური მისწრაფებების მიმართ<sup>7</sup>.

იმპერატორი ალექსანდრე II და მმართველი წრეები მიესალმებოდნენ გერმანიის გაერთიანებას, მაგრამ რუსეთის საზოგადოებრივი აზრი ამას აღიქვამდა, როგორც

საფრთხეს რუსეთის მომავლისათვის. ამის საფუძველს ისინი ხედავდნენ საფრანგეთის ხარჯზე გერმანიის გაძლიერებაში, რაც დაარღვევდა არსებულ ძალთა წონასწორობას ევროპაში და არ იყო გარანტია, რომ ყველაფერი ეს რუსეთის წინააღმდეგ არ შემობრუნდებოდა<sup>8</sup>. აქედან გამომდინარე, რუსეთის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისეთი ზომების მიღებას, რომ უზრუნველყო ქვეყნის უსაფრთხოება იმ შემთხვევაში, თუ ევროპაში რაიმე ახალი პოლიტიკური გართულება მოხდებოდა.

ბისმარკი ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენებს, რომ ერთმანეთს არ დაახლოებოდნენ საფრანგეთი და ავსტრია-უნგრეთი რევანშისტულ საფუძველზე<sup>9</sup>. იმისათვის, რომ საფრანგეთი იზოლირებულ მდგომარეობაში დარჩენილიყო ბისმარკმა საჭიროდ ჩათვალა თვითონ დაახლოებოდა როგორც რუსეთს, ისე ავსტრია-უნგრეთს<sup>10</sup>. სწორედ ამ დროს გაუჩნდა ბისმარკს იდეა - შეექმნა კავშირი მონარქიულ საფუძველზე<sup>11</sup>. ალექსანდრე II მოწონებით შეხვდა ამ იდეას, მაგრამ გორჩაკოვი მერყეობდა<sup>12</sup>, რადგან კარგად ხვდებოდა, რომ ასეთი კავშირი მიმართული იქნებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ინგლისი ნაკლებად იყო დაინტერესებული ევროპის საქმეებით და „ბრწყინვალე იზოლაციის“ პოლიტიკას ატარებდა, იტალია კი თვითონ იყო სუსტი სახელმწიფო და სხვებს ვერ დაეხმარებოდა.

საინტერესოა, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ, რუსეთსა და გერმანიას საწინააღმდეგო პოზიციები გააჩნდათ საფრანგეთის მიმართ. ანექსიონისტურმა და აგრესიულმა პოლიტიკამ, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, დააჩქარა საფრანგეთის დაახლოება რუსეთთან<sup>13</sup>. 1871 წლის ივლისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟიულ ფავრი წერდა კიდევ რუსეთსა და გერმანიას შორის უთანხმოების შესაძლო ჩამოვარდნის შესახებ<sup>14</sup>. თუ გერმანია, ბისმარკის ძალისხმევით, ცდილობდა ანტიფრანგული პოლიტიკის გატარებას, რუსეთი, კანცლერ გორჩაკოვის მცდელობით, პირიქით, საფრანგეთის მხარდაჭერაზე იყო ორიენტირებული<sup>15</sup>. 1872 წლის სექტემბერში, ბერლინში ყოფნისას, გორჩაკოვი შეხვდა საფრანგეთის ელჩს ბერლინში გონტო-ბირონს და საუბრისას უთხრა, რომ რუსეთი არ დაუშვებდა საფრანგეთის შემდგომ დასუსტებას, რადგან ძლიერი საფრანგეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა რუსეთისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში რუსეთის ასეთი პოზიცია არ ნიშნავდა, თითქოს ის მზად იყო კავშირი დაედო ან მჭიდროდ ეთანამშრომლა საფრანგეთთან. ასეთი პოზიცია რუსეთს ესაჭიროებოდა სიტუაციის დასაბალანსებლად საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში რუსეთის დიპლომატია თავის ძირითად მეტოქედ საერთაშორისო ურთიერთობებში ინგლისს მიიჩნევდა, იქიდან გამომდინარე, რომ დაპირისპირებული იყო მასთან ბალკანეთის, შუა აზიის და შორეული აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით. ასეთი დაპირისპირების პირობებში, რუსეთს ესაჭიროებოდა ზურგის გამაგრება ევროპაში, ამას კი მიაღწევდა მხოლოდ გერმანიასთან კავშირით და არა დასუსტებულ საფრანგეთთან დაახლოებით. მოწინააღმდეგეთა რიგებში უთანხმოების შეტანა ბისმარკის მოქნილი დიპლომატიის აპრობირებული მეთოდი იყო. მან კარგად იცოდა, რომ ახლო აღმოსავლეთში წინააღმდეგობათა ახალი კვანძი შეიძლება შეკრულიყო რუსეთს, ინგლისსა და ავსტრია-უნგრეთს შორის და მისი გამოყენებით შესაძლებელი გახდებოდა დიდი სახელმწიფოების ჩათრევა აღმოსავლეთის კონფლიქტში. პეტერბურგი რომ დაემშვიდებინა, ბისმარკი „არწმუნებდა რუსეთს, რომ არ ჰქონდა ინტერესები ბალკანეთში. მან კიდევ თქვა, რომ ბალკანეთი ერთი პომერანიელი ჯარისკაცის ძვლადაც არ ღირდა“<sup>16</sup>.

კანცლერი ბისმარკი მიიჩნევდა, რომ ინგლისი ახლო აღმოსავლეთში აქტიურ

პოლიტიკას გაატარებდა, ამიტომ მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთის ექსპანსიას ბალკანეთზე და რუსეთს ამ რეგიონში მოქმედებისკენ უბიძგებდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ მას საერთაშორისო ურთიერთობებში გართულებებით შეეზღუდა. იმისათვის, რომ დაემშვიდებინა რუსეთი, ბისმარკი არწმუნებდა გორჩაკოვს, რომ გერმანიას არ გააჩნდა პოლიტიკური ინტერესები აღმოსავლეთში<sup>17</sup>. ბისმარკი თურქეთს ფიგურალურად მოიხსენიებდა, როგორც „ავადმყოფ ადამიანს ბოსფორზე“<sup>18</sup> და ცდილობდა რუსეთის ჩათრევას ბალკანეთის საქმეებში, რომ ამით გამოეწვია მისი ომი თურქეთთან და იმავე დროს, გაემწვავებინა რუსეთის ურთიერთობები ვენასა და ლონდონთან<sup>19</sup>.

საინტერესოა, რომ 1873 წლის აპრილში ბერლინში მოლაპარაკების დროს, ბისმარკი პირდებოდა გორჩაკოვს, რომ რუსეთის მთავრობას გადასცემდა მთელ გავლენას, რომელიც გააჩნდა გერმანიას აღმოსავლეთში<sup>20</sup>, იქ კი გერმანიას არანაირი გავლენა არ გააჩნდა. ეს იყო დიპლომატიური ეკვილიბრისტიკის იშვიათი ნიმუში. ამის მიუხედავად, ბისმარკის მცდელობა დაეყოლიებინა რუსეთი უარი ეთქვა საფრანგეთის მხარდაჭერაზე იმის სანაცვლოდ, რომ ბერლინი აიღებდა ვალდებულებას მხარი დაეჭირა რუსეთის ინტერესებისათვის, წარუმატებლად დასრულდა.

რაც შეეხებოდა ავსტრია-უნგრეთს, გერმანიის გაერთიანების შემდეგ, მას არ გააჩნდა მკვეთად ჩამოყალიბებული საგარეო-პოლიტიკური კურსი. ვენის მმართველ წრეებში დიდი ნაწილი ესწრაფვოდა გერმანიასთან კავშირს, თუმცა სამხედროები და ელიტის ნაწილი 1866 წელს პრუსიასთან წაგებული ომის გამო, რევანშისტულ პოზიციებზე იდგნენ. აქედან გამომდინარე, მათ ესაჭიროებოდათ მოკავშირეების მონახვა საფრანგეთისა და რუსეთის სახით. ბისმარკის აზრით, საფრანგეთის რესპუბლიკური რეჟიმი იმის გარანტიას იძლეოდა, რომ მისი მეგობრული ურთიერთობები ავსტრია-უნგრეთთან და რუსეთთან ვერ დამყარდებოდა<sup>21</sup>. ბისმარკი კარგად ხედავდა ვენის განწყობას და ყოველმხრივ ცდილობდა მხარდაჭერა აღმოეჩინა მათთვის, რომლებიც გერმანიასთან თანამშრომლობას ესწრაფვოდნენ. ასეთი მიდგომა გულისხმობდა, რომ ბისმარკს უნდა გამოერიცხა ავსტრია-უნგრეთის კავშირი სხვა სახელმწიფოებთან. ის უბიძგებდა ვენას ბალკანეთის მიმართულებით ექსპანსიაზე, რაც მისაღები იყო ვენისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს რუსეთთან კონფლიქტს გამოიწვევდა<sup>22</sup>. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „სადი აზრი ვენაში დეფიციტური აღმოჩნდა“<sup>23</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ პრუსიასთან ომის წაგების შემდეგ ვენის გავლენა გერმანულ სახელმწიფოებზე შესუსტდა, რამაც უბიძგა ვენას მიზნად დაესახა ენერგიული ექსპანსიის გეგმები ბალკანეთზე. სწორედ ამან წარმოშვა დიდი დაპირისპირება ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის<sup>24</sup>. ამ დაპირისპირების გამოყენება სურდა ბისმარკს თავისი პოლიტიკის გატარებისას არა მარტო საფრანგეთის წინააღმდეგ, არამედ ევროპის მასშტაბითაც.

1872 წლის დეკემბერში ბერლინში შეხვედრისას, გორჩაკოვმა და ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეაშიმ ზეპირ შეთანხმებას მიაღწიეს, რომ მათი ქვეყნები დაიცავდნენ სტატუს კვოს ბალკანეთზე. ეს აუცილებელი იყო ორი ქვეყნის ინტერესთა დაპირისპირების პირობებში. ამასთანავე, ისინი შეთანხმდნენ, რომ გაატარებდნენ „ჩაურევლობის“ პრინციპს ბალკანეთის საქმეებში იმ შემთხვევაში, თუ მათი სურვილის საწინააღმდეგოდ დაირღვეოდა სტატუს კვო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე<sup>25</sup>.

საფრანგეთ-გერმანიის ანტაგონიზმი არსებითად ამლიერებდა მეფის რუსეთის პოზიციებს. გერმანიის მიერ დასავლეთ ევროპაში სრული ჰეგემონიის დამყარება რუსეთისათვის დიდი საფრთხის შემცველი იყო. აქედან გამომდინარე, საფრანგეთ-

რუსეთის კარგ ურთიერთობას პეტერბურგი დადებითად ხვდებოდა<sup>26</sup>.

## დასკვნა

გერმანიის გაერთიანების შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, კავშირი ავსტრია-უნგრეთთან ბისმარკის პოლიტიკის ძირითადი პრინციპი გახდა. ის კარგად ხედავდა, რომ ვენის მეშვეობით მას შეეძლო უზრუნველყო გერმანიის გაბატონებული მდგომარეობა ცენტრალურ ევროპაში. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ავსტრია-უნგრეთი გერმანიაზე სუსტი იყო და მისი გავლენა გერმანულ სახელმწიფოებზე საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. რაც შეეხებოდა ვენის პოზიციას იქ ფიქრობდნენ, რომ ბერლინის მხარდაჭერის იმედით მყარად მოეკიდებინათ ფეხი ბალკანეთზე და შეესუსტებინათ იქ რუსეთის გავლენა. პეტერბურგი, თავის მხრივ, ვენასთან სიტყვიერი დათმობების ფასად, ფიქრობდა თავისი ავტორიტეტის აღდგენას. გორჩაკოვი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ რუსეთს დამოუკიდებელი პოზიცია გააჩნდა და აქედან გამომდინარე, ის კარგ ურთიერთობებში იმყოფებოდა როგორც გერმანიასთან, ისე საფრანგეთთან. ასეთი მიდგომა ნიშნავდა, რომ ევროპული პოლიტიკის საფუძველი აღნიშნულ წლებში განისაზღვრებოდა, ერთი მხრივ, გერმანიის დამოკიდებულებით ავსტრია-უნგრეთთან და მეორე მხრივ, რუსეთის დამოკიდებულებით საფრანგეთთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰ. კისინჯერი. მსოფლიო წესრიგი. თარგ. ინგლ., თბ., 2020, გვ. 111.
2. იქვე.
3. ვ. ჩოჩია. ბისმარკი და გერმანიის პრობლემა. 1862-1882. თბ., 2011, გვ. 167.
4. О. Бисмарк. Мысли и воспоминания, т. II. М., 1940, с. 209.
5. Там же.
6. ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ., გვ. 173.
7. А. З. Манфред. Традиции дружбы и сотрудничества. М., 1967, с. 80.
8. К. Косев. Източният въпрос и българското освобождение. 1856-1878. София, 1978, с. 230.
9. ჰ. კისინჯერი. დიპლომატია. თარგ. ინგლ., თბ., 2021, გვ. 181.
10. Л. М. Шнеерсон. На перепутье европейской политики. Минск, 1984, с. 20.
11. О. Бисмарк, указ. соч., с. 211-212.
12. К. Косев, указ. соч., с. 242.
13. Diplomatie und Kriegspolitik vor und nach der Reichsgründung. Berlin, 1971, S. 145.
14. Ibidem.
15. ვ. ჩოჩია, დასახ. ნაშრ., გვ. 154-155.
16. ჰ. კისინჯერი. დიპლომატია, გვ. 181.
17. Русско-германские отношения 1873-1914 гг. (Документы из секретного архива бывшего министерства иностранных дел). М., 1922, с. 17.
18. А. Г. Задохин, Ф. Ю. Низовский. Пороховой погреб Европы. М., 2000, с. 62.
19. Н. Wolter. Bismarcks Aussenpolitik. 1871-1881. Berlin, 1983, S. 209.
20. Русско-германские отношения, указ. соч., с. 21.
21. E. Crankshaw. Bismarck. London, 1981, p. 318.

22. ჰ. კისინჯერი. დიპლომატია, გვ. 172.
23. იქვე.
24. В. В. Чубинский. Бисмарк, Биография. М., 1997, с. 359-360.
25. История дипломатии, т. II. М., 1963, с. 39.
26. Там же.

### რეზიუმე

კანცლერი ბისმარკი თავისი პოლიტიკის მთავარ მიზანს იმაში ხედავდა, რომ ხელი შეეწყოს საფრანგეთის შემდგომი დასუსტებისა და იზოლაციისთვის საერთაშორისო ურთიერთობებში. თავისი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში, ბისმარკი დიდ ყურადღებას აქცევდა ურთიერთობებს რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთთან, რადგან ამ დროისათვის ინგლისი, ევროპის კონტინენტზე აქტიური საგარეოპოლიტიკური ურთიერთობებისგან თავს იკავებდა.

რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები ამ პერიოდში წარმატებით ვითარდებოდა, რასაც ხელს უწყობდა ორი მონარქიის მსგავსი კლასობრივი ბუნება, ტრადიციული დინასტიური კავშირები და ფართო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დიდი ხნის მანძილზე. ამის მიუხედავად, რუსეთის მმართველი წრეები კარგად ხედავდნენ, რომ გაერთიანების შემდეგ გერმანია იმდენად გაძლირდა, რომ ევროპაში ბატონობაზე პრეტენზია გაუჩნდა. ამიტომ, რუსეთი ცდილობდა კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას გერმანიასთან, მაგრამ არც საფრანგეთის მხარდაჭერაზე ამბობდა უარს, რადგან აღორძინებული საფრანგეთი გამაწონასწორებელი ძალა იქნებოდა გერმანიის ჰეგემონისტური მისწრაფებების მიმართ.

აღნიშნულ წლებში, საერთაშორისო ურთიერთობებზე დიდ გავლენას ახდენდა, აგრეთვე, ავსტრია-უნგრეთის ურთიერთობა გერმანიასა და რუსეთთან. გერმანიასთან მეტოქეობა არაფერს მისცემდა ვენას, ამიტომ იქ ჩაიფიქრეს ენერგიული ექსპანსიის გეგმები ბალკანეთზე, რაც უკიდურესად ამწვავებდა ურთიერთობებს რუსეთთან. ვენა ბერლინის მხარდაჭერის იმედით, ცდილობდა თავისი ეროვნული ინტერესები და გავლენა განემტკიცებინა ბალკანეთზე და შეესუსტებინა იქ რუსეთის გავლენა. იმ პერიოდში, საერთაშორისო ურთიერთობები განისაზღვრებოდა, ერთი მხრივ, გერმანიის დამოკიდებულებით ავსტრია-უნგრეთისადმი, მეორე მხრივ, რუსეთის კავშირით საფრანგეთისადმი, რაც შემდგომი წლების მოვლენებმა დაადასტურა.

## INTERNATIONAL RELATIONS IN EUROPE AFTER THE UNIFICATION OF GERMANY (1871-1872)

**Vazha Chochia**  
**Gori State University**  
**Abstract**

Chancellor Bismarck viewed the primary objective of his policy as contributing to the continued weakening and isolation of France in international relations. In his efforts to implement these plans, Bismarck placed significant emphasis on relations with Russia and Austria-Hungary, as England at that time refrained from active foreign policy engagement on the European continent.

Russian-German relations during this period progressed favorably, aided by the similar

class structure of the two monarchies, long-standing dynastic ties, and extensive trade and economic interactions. Nevertheless, Russian ruling circles clearly recognized that following unification, Germany had become so powerful that it aspired to dominance in Europe. As a result, Russia sought to maintain cordial ties with Germany, but also remained open to cooperation with France, seeing a revitalized France as a counterbalance to Germany's hegemonic ambitions.

During these years, international relations were also strongly shaped by Austria-Hungary's interactions with Germany and Russia. A rivalry with Germany promised little benefit for Vienna, prompting it to pursue assertive expansion in the Balkans—an approach that significantly strained relations with Russia. Hoping for Berlin's backing, Vienna aimed to bolster its national interests and expand its influence in the Balkans while undermining Russia's position there. At the time, international dynamics were largely defined by Germany's stance toward Austria-Hungary and Russia's relationship with France, as subsequent events would confirm.

**Key words:** Bismarck, Alexander II, Gorchakov, Andrassy, Berlin, Vienna.

# ვერსალ-ვაშინგტონის მსოფლიო წესრიგი: 1919-1939 წლების საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ძირითადი სტრუქტურები

მარინა იზორია  
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

გურამ მარხულია  
ისტორიის დოქტორი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/gbsab.2026.58.06>

**საკვანძო სიტყვები:** ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა, საერთაშორისო ურთიერთობები, პირველი მსოფლიო ომი, ერთა ლიგა, მშვიდობიანი მოგვარების პრინციპები, ვერსალის ხელშეკრულება, ვაშინგტონის კონფერენცია.

**შესავალი.** წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციას 1919 წლიდან 1939 წლამდე. ამ მხრივ, იგი განიხილავს ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის ჩამოყალიბებას, თუ როგორ გააცნობიერეს მსოფლიოს მმართველმა ძალებმა საერთაშორისო ურთიერთობების მეთოდებში ცვლილებების აუცილებლობა. საერთაშორისო ურთიერთობების ეს სისტემა გამოირჩევა, როგორც უნიკალური ფენომენი საკუთარი მახასიათებლებითა და ძირითადი პრინციპებით, რომლებიც შემდგომში მიიღეს, როგორც საფუძველი, მოახდინეს მოდიფიცირება და შემდეგ წარმატებით დანერგეს იალტა-პოტსდამის სისტემაში

## ძირითადი ნაწილი

უპირველეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა<sup>1</sup> პოლიტიკური ორგანიზაციის სტაბილური ფორმაა, რომელიც ასახავს

1. ცნობილია რომ საერთაშორისო ურთიერთობებში არსებობდა 4 საერთაშორისო სისტემა; 1. **ვესტფალიის სისტემა** (1648–1815) ოცდაათწლიანი ომის შემდეგ წარმოიშვა. ისტორიაში პირველად მან განამტკიცა სახელმწიფო სუვერენიტეტისა და სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. მან საფუძველი ჩაუყარა ეროვნული სახელმწიფოების სამყაროს.

2. **ვენის სისტემა** (1815–1914) ჩამოყალიბდა ნაპოლეონზე გამარჯვების შემდეგ. მან დაამყარა ძალთა ბალანსი ევროპულ ძალებს შორის და მათი კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი, რაც თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ხელს უშლიდა ფართომასშტაბიან პანევროპულ კონფლიქტებს.

3. **ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა** (1919–1939) პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა. მან კონფლიქტების მოსაგვარებლად ერთა ლიგა დააარსა, მაგრამ არასტაბილური აღმოჩნდა დამარცხებული ქვეყნების (გერმანიის) შურისძიების სურვილისა და ძლიერი აღსრულების მექანიზმების არარსებობის გამო.

4. **იალტა-პოტსდამის სისტემა** (1945–1991) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა. მას ახასიათებდა ბიპოლარობა - მკაცრი დაპირისპირება ორ ზესახელმწიფოს (აშშ და სსრკ) და მათ მოკავშირეებს შორის. ბირთვული შეკავების ბალანსმა უზრუნველყო ცივი ომის დაწყება და პირდაპირი სამხედრო კონფლიქტის არარსებობა...

უნდა აღინიშნოს რომ იალტა-პოტსდამის სისტემის დაშლის შემდეგ ახალი საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება ვერ შედგა. თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს ბრძოლა ახალი სისტემის დასამკვიდრებლად, ამიტომაც ქაოსი საერთაშორისო ურთიერთობებში.

ძალთა ბალანსს და სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედების ბუნებას გლობალურ ასპარეზზე. ის განსაზღვრავს, თუ ვინ ადგენს თამაშის წესებს, ძალთა ბალანსს და უსაფრთხოების პრინციპებს მოცემულ ისტორიულ პერიოდში.

მსოფლიოწესრიგისშენარჩუნება უაღრესად რთული პროცესია, სადაც თითოეული ელემენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული. საერთო მექანიზმის რეგულირების გასაადვილებლად, საერთაშორისო აქტორები ანვითარებენ კონკრეტულ წესებს - პრინციპებს, რომლებიც ყველა ქვეყანამ უნდა დაიცვას „სახელმწიფოთაშორისი ჩახლართულობების“ ქსელში ბალანსის შესანარჩუნებლად. ეს დაიწყო 1648 წელს, ოცდაათწლიანი ომის ბოლოს<sup>1</sup>, როდესაც გაჩნდა საერთაშორისო ურთიერთობების პირველი, ვესტფალიური სისტემა. მან საუკუნეების განმავლობაში დაამკვიდრა სახელმწიფოებრივი ქცევის პრინციპები. ესენია: სახელმწიფო სუვერენიტეტი, სახელმწიფოსაზღვრების ურღვევობა, ეროვნული სახელმწიფოები, საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამიჯვნა, ძალთა ბალანსი და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების რეგულირება ხელშეკრულებების მეშვეობით. ამ ძირითადმა პრინციპებმა ჩამოაყალიბა ვესტფალიური მოდელი, რომელიც თანამედროვე მსოფლიო წესრიგის საფუძველს წარმოადგენს. ვესტფალიური სისტემა მე-XIX საუკუნეში შეიცვალა ვენის სისტემით, საკუთარი მახასიათებლებითა და დახვეწილობებით. თუმცა, ამან ხელი არ შეუშალა პირველი მსოფლიო ომის დაწყებას, რამაც საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ახალი ეტაპი აღნიშნა. კიდევ ერთი სისხლიანი ომის დაწყების თავიდან ასაცილებლად, წამყვანმა ძალებმა დაიწყეს საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის - ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის - ჩამოყალიბება. ის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინამორბედებისგან, მაგრამ პრაქტიკაში არასრულყოფილი აღმოჩნდა და მეორე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანა. თუმცა, ეს არანაირად არ ამცირებს მის მნიშვნელობას. პირიქით, მსოფლიო წესრიგის სტაბილიზაციის წარუმატებელმა მცდელობებმა დაეხმარა ქვეყნებს გაეგოთ და გამოესწორებინათ ყველა ნაკლოვანება და გამოეყენებინათ თავიანთი გამოცდილება საერთაშორისო ურთიერთობების იალტა-პოტსდამის სისტემის ფუნქციონირებაში, რომლის ნაყოფიც დღესაც აქტუალურია. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემამ სახელმწიფოებს აჩვენა მრავალმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობა, არა მხოლოდ ევროპაში, არამედ სხვა რეგიონებშიც.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებმა, ყველა მათი გამოვლინებითა და სირთულით, ამჟამინდელი ფორმა მიიღო ყველა წინა სისტემაში ცვლილებების შედეგად, მათი შეცდომებისა და დადებითი შედეგების გათვალისწინებით, ასევე იმ კონკრეტული გზების გათვალისწინებით, რომლითაც სისტემები რეაგირებდნენ გარკვეულ გადაწყვეტილებებზე ისტორიულ მაგალითებზე. ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა ფენომენალურად ხანმოკლე იყო<sup>2</sup> და, სავარაუდოდ, ყველაზე არაეფექტური გახდა. სწორედ ამიტომ არის საინტერესო ამ სისტემის სტრუქტურის შესწავლა დღეს, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი სიტუაციის განმეორება მომავალში.

რა არის ზუსტად ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა? როგორ გაჩნდა ის და რამ იმოქმედა მასზე? ჩვენ შევეცდებით, ამ კითხვებზე პასუხი გავცეთ ამ სტატიაში.

1918 წლის 11 ნოემბერს დასრულდა პირველი მსოფლიო ომი — ომი, რომელმაც დაახლოებით 10 მილიონი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა, გაანადგურა ოთხი ოდესღაც ძლიერი იმპერია და დატოვა მიძიმე ეკონომიკური და სოციალურ-ეკონომიკური

1. ოცდაათწლიანი ომი არის ისტორიული სახელწოდება საღვთო რომის იმპერიაში, გერმანულ ერსა და ზოგადად ევროპაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების სერიისა, რომელიც გაგრძელდა 1618 წლიდან 1648 წლამდე და სხვადასხვა ხარისხით იმოქმედა თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანასა და სახელმწიფოზე.

2 (1919–1939 წწ. მხოლოდ 20 წელი იარსება

შედეგები. მეომარი ქვეყნების მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსები ამოწურული იყო; ინდუსტრიის მშვიდობიანი დროიდან სამხედრო წარმოებაზე გადასვლამ და სამომხმარებლო საქონლის წარმოების შემცირებამ ეკონომიკური დესტაბილიზაცია გამოიწვია; სოფლის მეურნეობაც დაკნინდა. ამ ფონზე დაიწყო სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის გამწვავების პროცესი, რამაც პაციფისტური განწყობების გავრცელებას შეუწყო ხელი. ომის სირთულეებმა არა მხოლოდ ომის უარყოფა გამოიწვია, არამედ საკუთარი მთავრობების წინააღმდეგ პროტესტის ტალღაც გამოიწვია, რადგან ისინი უშლიდნენ ხელს საომარი მოქმედებების დასრულებას, აჩვენებდნენ გამარჯვების მიღწევის უუნარობას და აჭიანურებდნენ სამშვიდობო ზავის დადებას. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერმა აიძულა როგორც სოციალური მოძრაობები, ასევე სახელმწიფოების შიგნით პოლიტიკური ძალები, ელიარებიანათ სისხლისღვრისა და ნგრევის ციკლის დასრულების აუცილებლობა და გაერთიანებინათ ძალისხმევა გლობალური წესრიგის აღსადგენად და საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, ათასწლეულის ამ პირველი გლობალური შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, რომელმაც ასე თუ ისე იმოქმედა იმ დროს არსებული ორმოცდაცხრამეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოდან ოცდათვრამეტიზე, საბოლოოდ უნდა აღინიშნოს რომ მშვიდობის დამყარებას წლები დასჭირდა. ხუთი წლის განმავლობაში ძალებმა დადეს ვერსალის, სენ-ჟერმენ-ან-ლეის, ნეის, ტრიანონის, სევრის და ლოზანის ხელშეკრულებები.

ვერსალის ხელშეკრულება<sup>1</sup> შემუშავდა ექსკლუზიურად გამარჯვებული ძალების მიერ, აგრესორი ქვეყნის მონაწილეობის გარეშე. ხელშეკრულება დაიდო იმავე ადგილას, სადაც 1871 წელს გამოცხადდა გაერთიანებული გერმანიის იმპერიის შექმნა. ხელშეკრულება არსებითად გერმანიისთვის დამამცირებელ ტვირთად იქცა. ქვეყანამ დაკარგა თავისი ტერიტორიის 13%, მნიშვნელოვანი სამრეწველო ზონები; მისი სტრატეგიული პოზიცია და დიდი სახელმწიფოს სტატუსი მნიშვნელოვნად შეირყა, ხოლო მისი ეკონომიკური, ფინანსური და სამხედრო პოტენციალი კრიზისის ზღვარზე აღმოჩნდა. ვერსალის ხელშეკრულება, რომელმაც პრაქტიკულად გააუქმა მომავალი შეთანხმების ადრე გამოცხადებული დემოკრატიული იდეალები, ათასობით გერმანელისთვის უსამართლობის მოდელად იქცა და რევანშისტული იდეების ტალღა გამოიწვია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულებამ და მისმა შემდგენლებმა ერთპიროვნულად გაუხსნა გზა ახალ სამხედრო კონფლიქტს, რის გამოც ეს ხშირად გერმანიაში ნაციზმის გავრცელების ერთ-ერთ წინაპირობად მოიხსენიება.

აღსანიშნავია, რომ ვერსალის ხელშეკრულების დებულებები, განსაკუთრებით ანექსირებული მიწების დაბრუნების შესახებ, ასევე სხვა დამარცხებულ ქვეყნებთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ხელი შეუწყვეს დამოუკიდებელი სახელმწიფოების დიდი რაოდენობის ჩამოყალიბებას, არ გამორიცხავდნენ მომავალში ტერიტორიული დავების და კონფლიქტების წარმოშობას. თვალსაჩინო მაგალითია პოლონეთის საკითხის გადაწყვეტა, რომლის მიხედვითაც გერმანიამ შეინარჩუნა პოლონური მოსახლეობით დასახლებული მიწების რაოდენობა, მაგრამ გაიყო „პოლონური დერეფნის“ ჩამოყალიბებით, ხოლო პოლონეთმა, თავის მხრივ, მიიღო გერმანელებით დასახლებული ტერიტორიები. გარდა ამისა, ტრიანონისა და ნეის ხელშეკრულებების<sup>2</sup> პირობები, შესაბამისად,

1. ვერსალის ხელშეკრულება — 1919 წელს მიღებული სამშვიდობო შეთანხმება, რომელმაც ოფიციალურად დაასრულა 1914-1918 წლების პირველი მსოფლიო ომი

2. ტრიანონისა და ნეის საზავო ხელშეკრულებები იყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომი, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის ნაწილი, რომლებმაც სამართლებრივი სახე მისცეს ომში დამარცხებული

